

ჩვენ და ჩვენი სახელმწიფო

(შარშანდელი ესკიზები)


„ისევე, როგორც ინგლისს არასოდეს ჰყოლია მომჭირნე მთავრობა, მომჭირნეობაც არასოდეს იყო ინგლისელთა დამახასიათებელი დადებითი თვისება. ამასთან ერთად, უმაღლესი დონის უტიფრობა და თავხედობაა, როდესაც მეფენი და მინისტრები აცხადებენ, უნდა ვიზრუნოთ, რომ კერძო პირებმა მომჭირნედ იცხოვრონ და ამ მიზნით მათ შემოსავლებს უცხოურ საქონელზე საიმპორტო აკრძალვებითა და ფუფუნების საგნებზე გადასახადებით ბეგრავენ, თუმცადა მუდამ, გამონაკლისის გარეშე, თვით არიან ქვეყნის ყველაზე დიდი გამჩანაგებელნი.“

ადამ სმითი. „ერთა კეთილდღეობა.“ გვ. 287

ძალიან მარტივი დასამტკიცებელია, რომ სახელმწიფოს მიერ ყოველი ორი ახალი პოლიციელის სამსახურში მიღება ერთ ახალ ბანდიტს აჩენს.


ამისათვის მკითხველს შევთავაზებ ოთხსურათიან დეტექტივს.

სურათი პირველი.




ერთი პოლიციელი იცავს ერთ მშრომელს. მშრომელი ქმნის ნაწარმს. მისი შრომა ნაყოფიერია. პოლიციელი არაფერს ქმნის, მაგრამ მისი შრომა მაინც საჭიროა და მას ჭამა უნდა. მშრომელი ინახავს პოლიციელს და ოთხი ლარიდან, რომელსაც იგი გასამრჯელოდ იღებს, - ერთს პოლიციელს უხდის.

სურათი მეორე.



სახელმწიფომ მიიჩნია, რომ ერთი პოლიციელი საქმეს არ ყოფნის და გადაწყვიტა მეორე პოლიციელის აყვანა სამსახურში. ეს მეორე პოლიციელიც არაფერს ქმნის და მშრომელმა მასაც უნდა მისცეს თავისი გასამრჯელოს წილი, რადგან მასაც შია. ახლა, მშრომელი, პოლიციელების შესანახად, ოთხიდან ორ ლარს სახელმწიფოს უხდის. მას უჭირს, მაგრამ თვლის, რომ ასეა საჭირო და ჩუმად არის.

სურათი მესამე.



სახელმწიფოს ეს ორი პოლიციელი არ ეყო და მესამეც აიყვანა სამსახურში. არც ეს მესამე ქმნის რაიმეს, მაგრამ ჭამა მასაც უნდა. ისიც მშრომელს აწვება კისერზე. ახლა მშრომელი უკვე ოთხიდან სამ ლარს უხდის სახელმწიფოს, პოლიციელების შესანახად, თვითონ კი მხოლოდ ერთი ლარი რჩება.

სურათი მეოთხე.



მშრომელს არ ყოფნის ერთი ლარი, ამგვარი სიტუაცია ყელში ამოსდის და რადგანაც სხვა გზა არ რჩება, მიდის სხვა მოქალაქის გასადარცვაად.

რ.დ.გ.: ორმა ახალმა პოლიციელმა გააჩინა ერთი ახალი ბანდიტი.

(აქ შეიძლება, ჩვენი სპეციფიკის გათვალისწინებით, გამეგრძელებინა, რომ სამი პოლიციელი, რომელსაც მშრომელი აღარაფერს უხდის, თვითონაც დარცვა-გლეჯას იწყებენ.)

ამ მოგონილი მაგალითის მორალი მარტივია: დღეს ჩვენ არ შეგვიძლია მივცეთ ჩვენს თავს იმ ფუფუნების უფლება, რასაც ქართული სახელმწიფო აძლევს საკუთარ თავს.

ჩვენს პრესაში უამრავ მასალას შეხედები კაცი, რომელშიაც მთავრობა ჩივის, რომ მოქალაქეები და ფირმები არ იხდიან დაწესებულ ბეგარა-გადასახადებს. ეს ალბათ მართლაც ასეა, ბევრი ამ გადასახადს გაუბრუნებს. ამის უკან რამდენიმე სერიოზული პრობლემა იმალება. მავანი გადასახადს არ იხდის და ამით დანაშაულს სჩადის. რასაკვირველია, არსებული წესების დარღვევა ნებისმიერ ქვეყანაში ისჯება. ეს ჩვენთანაც ასე უნდა იყოს და რიგ შემთხვევებში ასეც არის, და ეს გასაგებია. მაგრამ, თუკი პრობლემას სხვა ასპექტით განვიხილავთ, საქმე ისე ნათელი და გასაგები აღარ იქნება, როგორც პირველი შეხედვით ჩანს.

ჩავიდენ მკრეხელობას და თვით სახელმწიფოს მიერ საკითხის ასე დაყენებაში შევიტან ეჭვს. ეგებ ცდება ეს სახელმწიფო და არ სჩადის სწორს, ამ ფულს, ან ამდენ ფულს რომ მართმევს? ეგებ არ უნდა მართმევდეს? დღეს ჩვენ ვიცით, რომ სახელმწიფოსაც შეიძლება შეცდომა მოუვიდეს და ამ შეცდომას დიდძალი ხალხიც შეეწიროს. ვიცით რა ხდებოდა 30-იან წლებში საბჭოთა კავშირში. მართალი იყო მაშინ სახელმწიფო?

დღევანდელი ჩვენი სახელმწიფოც რომ ცდებოდეს?

მე მხოლოდ პრინციპულად ვადარებ ამ ჩვენსა და იმ, მაშინდელ ჩვენს სახელმწიფოს და არა შეცდომის სიღრმით.

გავარჩიოთ, საიდან მომდინარეობს ამ გადასახადის აუცილებლობა. ვინ არის ბოლოს და ბოლოს და რატომ გადაგვიდებია ეს სახელმწიფო, რომელსაც რატომღაც

გადასახადი უნდა გუხადო. შევეცადოთ ასევე დავადგინოთ, თუ რა ფუნქციები აქვს მას და ასრულებს თუ არა ქართული სახელმწიფო ამ ფუნქციებს.

რაში უნდა გადაგუხადო სახელმწიფოს ფული?

ეგებ მირჩევნია, სახელმწიფოს გვერდის ავლით გადაგუხადო ეს თანხა იმ ადამიანებს, ვინც თავის ფუნქციას ასრულებს?

პირველ რიგში, სახელმწიფოს ფუნქცია გარეგანი მტრისაგან საზოგადოების დაცვა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებაა.

ამას ქართული სახელმწიფო ვერ ახერხებს.

ჩვენ რეალურად დაკარგული გვაქვს ტერიტორიები და მთელ რიგ რეგიონებში ვერ ვახორციელებთ კონტროლის ფუნქციას. ნებისმიერ ჩვენს მეზობელს, სომხის ჩათვლით, ბურღლა შეუძლია გვადინოს სულ მოკლე დროში და კიდევ უფრო მეტი ტერიტორია წავკარგოთ. რუსებსა და ჩეჩნებს აღარაფერს ვამბობ. ქართველს რომ ომი არ შეუძლია, ამაში აფხაზეთმა დაგვარწმუნა. არა მგონია, რომ ქართველის ეს თვისება ბოლო შვიდ-რვა წელიწადში საგრძნობლად შეცვლილიყოს. ამ საკითხის გადაწყვეტისათვის მთავრობას სულ ცოტა ხუთი წელი მაინც ჰქონდა. გამოვიდა რამე?

ამ სფეროში არ არსებობს არანაირი საფუძველი, თუ რატომ უნდა უხადოს მოქალაქემ სახელმწიფოს ფული. ყოველ შემთხვევაში მანამ, სანამ მოქალაქე არ დარწმუნდება, რომ მისი ქვეყნის გარეგანი მტრისაგან დაცვა უზრუნველყოფილია.

აქ საგარეო პოლიტიკასაც მინდა გავკრა კბილი. საელჩოები, იცოცხლე, ბევრი გავხსენით, მაგრამ მოგვემატა რამე? პირიქით, რუსეთმა სავიზო რეჟიმიც კი დაგვინიშნა, რაც დამატებით პრობლემებს წარმოუქმნის ადამიანებს.

აქ სიძნელე ის არის, რომ ალტერნატივა არ არსებობს: თუ სახელმწიფოს არა, ვის შეიძლება გადაგუხადო თანხა, რომ, მაგალითად რუსის ჯარისაგან დამიცვას?

სახელმწიფოს მეორე მნიშვნელოვანი ფუნქცია მოქალაქეთა და მათი ქონების დაცვაა ქვეყნის შიდა ქურდ-ბანდიტ-მკვლელებისაგან.

პრინციპში, ქართული სახელმწიფო ვერც ამ ფუნქციას ართმევს თავს წარმატებით. პირიქით, თვით პოლიცია, რომელმაც მოქალაქე და მისი ქონება უნდა დაიცვას, თვით იგი არის ხშირად მძარცველი და გამომძალდველი (იხ. ზემოთ მოყვანილი მაგალითი). ავტონისპექტორი კი საერთოდ ორ ხელფასს იღებს: ერთს სახელმწიფოსაგან და მეორეს უშუალოდ, ქუჩის პირას პირდაპირ მოქალაქეთაგან. პირდაპირ ხელფასის აღების ეს მეთოდი სხვა სფეროებშიც დამკვიდრდა (სკოლაში, საავადმყოფოში და ა.შ.).

თავიდან, როდესაც შევარდნაძემ სამოქალაქო ომის შემდგომ ორ-სამ წელიწადში მკვეთრად შეძლო მოქალაქეთა უსაფრთხოების გაუმჯობესება, ყველამ შვებით ამოისუნთქა. სამწუხაროდ ეს პროცესი არ გაგრძელდა. დღეს არ არსებობს საფუძველი, რომლის მიხედვითაც მოქალაქემ ამ სფეროში სახელმწიფოს ფული უნდა გადაუხადოს. მდიდრებს, ვისაც მართლა ქონება აქვთ და მისი დაკარგვისა ეშინიათ, დაქირავებული დაცვა დაჰყვება. ღარიბს, რომელსაც არაფერი აქვს დასაკარგი, პოლიცია მაინც არაფერს შველის. იმაზე აღარაფერს ვამბობ, რომ ციხეებიდან და ციხეებში დამნაშავენი საკმაოდ თავისუფლად გამოდიან და შედიან. თუ საქმე მარტო ძალადობაზეა, იმაზე, რომ სახელმწიფოს დამსჯელი ორგანოები ჰყავს და მაიძულებს ფული გუხადო, მაშინ მირჩევნია იმ თანხის ნახევრად ან მეოთხედში ამ დამსჯელი ორგანოებისაგან გამოვისყიდო თავი, ან უშუალოდ ვიქირაო დაცვა, ვიდრე სახელმწიფოს მთელი თანხა ვაძლიო.

სახელმწიფოს ფუნქციათა შემდეგი ჯგუფი სოციალური ხასიათისაა.

ამ სფეროში მდგომარეობა სხვაზე უარესია. დღეს საქართველოში პენსიონერი თავისით ვერ იარსებებს და საშიშშილოდ არის განწირული. ვისაც არავინ ჰყავს, რომ დაეხმაროს, ვაი იმისი ბრალი! მეორეს მხრივ, ამ მდგომარეობაში უმეტესწილად, დღევანდელი ქართული სახელმწიფოს პარალელურად, თვით ამ მოხუცებს მიუძღვით

ბრალი და აი რატომ: ეს ის თაობაა, რომელიც ელექტროენერჯიაში ორ კაპიკს იხდიდა და დღედაღამე ანთებული ჰქონდა შუქი, რადგანაც ენერჯია უიაფესი იყო. ეს სიაფე იმით იყო გამოწვეული, რომ მომავალზე არავინ ზრუნავდა. ენერჯია ოდნავ უფრო ძვირი რომ ყოფილიყო და იმ ნამეტი თანხებით ახალი ელსადგურები ან ენერჯიის სხვა წყაროები ეშენებინათ, ანდა ისინი ალტერნატიული ენერჯიის წყაროების კვლევისათვის დაეხარჯათ, ახლა შეიძლება ამ „ბნელეთის სამეფოში“ აღარ გვეცხოვრა. ასევე შეიძლება ითქვას ბინებზე; ოროთახიანი ბინა რომ თვეში 15 მანეთი ღირდა, პურზე, რომელსაც არავინ უფრთხილდებოდა, ბენზინზე, რომელიც ასევე კაპიკები ღირდა და ა.შ. მე დღესაც მიკვირს, რომ არავინ მოიძებნა, ვინც მომავალზე იზრუნებდა. ფაქტობრივად, დღევანდელ პენსიონერთა თაობამ ახალგაზრდობაში ტაშ-ფანდურით გაანიავა ის სიმდიდრე, რაც ახლანდელ თაობასაც უნდა რგებოდა. ვუთხრათ ამისათვის მამებს მაღლობა?

ახლა, პენსიონერებს სამათხოვროდ აქვთ საქმე გადაქცეული. რასაკვირველია, გარდასული დროის მიქარვების გამო მათთვის ხელის კვრა უზნეობა იქნებოდა და სახელმწიფოს ამის გაკეთება არ უნდა, მაგრამ მაინც ასე გამოუდის: დღეს მოხუცებული საქართველოში ჩაგრულთა კლასს ეკუთვნის. სახელმწიფო მას ვერ პატრონობს. მე მირჩევნია, ის ფული, რასაც სახელმწიფოს ამ საქმისათვის ვუხდი, უშუალოდ მივცე ერთ-ორ მოხუცებულს, რადგანაც არ ვარ დარწმუნებული, რომ სახელმწიფო ჩემს მიცემულ თანხას აზრიანად და მიზნობრივად დახარჯავს და მას მოხელე არ ჩაიდებს ჯიბეში. ეს პრობლემა ყველა სფეროს ახასიათებს: მოხელენი არ არიან სანდო. ისინი, საბიუჯეტო თანხიდან, ჯერ საკუთარ თავზე ზრუნავენ და მერე სხვაზე.

არც ბავშვთა მდგომარეობაა უკეთესი. რასაკვირველია, ვისაც ამის საშუალება აქვს, ის უშუალოდ იხდის თანხას (როგორც ზემოთ, ავტონისპექტორის მაგალითში) და მისი ბავშვი აღმზრდელთა და მასწავლებელთა ზრუნვის ცენტრშია. კერძო დაწესებულებები ამ სფეროში უმაღლესი დონის მომსახურებას თავაზობენ კლიენტს. აქ ბავშვები მოვლილი, სუფთა და დასვენებული არიან. ისინი მღერიან, უკრავენ, ცეკვავენ და სწავლობენ უცხო ენებს. სახელმწიფო დაწესებულებაში ამგვარ სურათს ძნელად თუ შეხვდები. თუკი ამას მაინც აქვს ადგილი, ესეც ორხელფასიანობის ხარჯზე ხდება.

ჯანმრთელობის სფეროც იგივე მდგომარეობაშია, რაც ზემოთ აღწერილი სხვა სოციალური სფეროები. ჯანდაცვა არც ადრე იყო ანგელოსების საბუდარი: ექიმები ყოველთვის პირდაპირ იღებდნენ გასამრჯელოს, რადგანაც სამართლიანად თვლიდნენ, რომ სახელმწიფოს მიერ მათზე გაცემული ხელფასი არ შეესაბამებოდა მათ კვალიფიკაციას, პასუხისმგებლობასა და შრომას. ეს ახლაც ასეა და ამ სფეროს დაფინანსება სახელმწიფოს მიერ არ არის საკმარისი. აქაც ჯობია კაცმა პირდაპირ გადაუხადო ექიმს, ვიდრე სახელმწიფოს მეშვეობით.

ისიც მინდა დავძინო, რომ ეს მძიმე სიტუაცია არა მხოლოდ ცუდის, არამედ ბევრი კარგი ადამიანური თვისებების გამოსამზეურებლად გამოდგა: გამოჩნდნენ ადამიანები, რომლებიც არა ხელფასის, არამედ მოწოდებისა და ადამიანურობის გულისათვის მუშაობენ მოხუცთა თავშესაფრებში, ბავშვთა სახლებსა თუ ინტერნატებში, საავადმყოფოებში. ისინი ყოველთვის არსებობდნენ, მაგრამ საზოგადოება მათ აშკარად ვერ ხედავდა. ძნელბედობა კარგსაც და ცუდსაც, სათნოსაც და ბოროტსაც ააშკარავებს.

მე აქ აღარ მინდა სხვა სფეროებს, სპორტს, ხელოვნებას ან ბუნების დაცვას და ამისთანებსაც შევეხო, რადგანაც პრინციპში, მდგომარეობა ნათელია: ქართული სახელმწიფო არცერთ ჩამოთვლილ სფეროში არ იმსახურებს გასამრჯელოს. იგი ვერ აგროვებს თანხებს და ვერ ანაწილებს მათ სამართლიანად. იგი ცდილობს, რომ ჩვენ ორჯერ გადამხდელებად გადაგვაქციოს: ერთხელ პირდაპირი და მეორედ სახელმწიფო ძალადობის გზით. ეს სახელმწიფო ამასაც კი ვერ ახერხებს.

სანამ საერთო დასკვნას გამოვიტანდე, მინდა კიდევ რამდენიმე საკითხი განვიხილო.

როდესაც სახელმწიფო ფულს თხოულობს, მან სულ უკანასკნელი, ხელსაყრელი პირობა მაინც უნდა შეუქმნას ქვეყანაში მცხოვრებ ადამიანებს, რომ მათ ეს ფული გამოიმუშაონ და სახელმწიფოს გადაუხადონ. ამაში მდგომარეობს სახელმწიფოს მასტრუქტურირებელი ფუნქცია. მასში ვგულისხმობ სახელმწიფოს დამოკიდებულებას

საერთოდ საზოგადოების, ეკონომიკისა და კულტურის სფეროებისადმი.

ამ საკითხშიც ვერაფერს იპოვნი კაცი, რისთვისაც სახელმწიფოს გასამრჯელო ეკუთვნის. ჩვენი მეურნეობა ვერა და ვერ გამოვიდა კრიზისიდან. დიდია უმუშევრობა, დაბალია ხელფასები, ითრგუნება ნებისმიერი ეკონომიკური ინიციატივა, თუკი იგი პრეზიდენტის უშუალო გარემოცვიდან არ მოდის. ეკონომიკური პოლიტიკა არა თუ არასწორი, არამედ საერთოდ სავალალოა. მთელი კრედიტები და დახმარებანი ხშირად უაზროდ ნიავედება, ან რაც უარესია, კერძო ჯიბეში მიდის.

ქართულ სახელმწიფოს არათუ თითი არ გაუნძრევია ეკონომიკისათვის, არამედ ყოველნაირად ხელს უშლის მას. ქვეყნის ეკონომიკური განვითარების წინააღმდეგ მიმართული სახელმწიფო პოლიტიკა თავიდან მმართველი წრეების უვიცობის შედეგი მეგონა. ვერაფრით ვიფიქრებდი, რომ ეს პოლიტიკა გააზრებული გეგმის ნაწილია. საქმე იმაშია, რომ როგორც ჩანს, მთავრობას წესიერი გზით გამდიდრებული ადამიანებისა ეშინია, რადგანაც მათ დასამალი არაფერი აქვთ. „უწესოდ“ გამდიდრებული კი მთავრობას ყოველთვის ანკესზე ჰყავს და როცა უნდა მაშინ ჩასვამს „კუტუხკაში“.

წესიერად გამდიდრებული, ანუ ისეთი ადამიანი, რომელსაც მექრთამეობითა და უკანონობით არ უშოვნია კაპიტალი, ყოველთვის უფრო ძნელი ჩასასმელია, ვიდრე უწესოდ გამდიდრებული. მთავრობას ერთი უბრალო მიზეზის გამო ეშინია წესიერი მდიდრებისა: ისინი ამომრჩეველთა ხმებს იყიდიან და ამ მთავრობას შეცვლიან. ეს ტიპიური მარქსისტული შიშია: მარქსის მიმდევრებს, რომლებიც დღეს პრაქტიკულად მთელს ჩვენ მთავრობას შეადგენენ, სისხლში აქვთ გამჯდარი თეზისი იმის შესახებ, რომ საზოგადოების უძლიერესი ძალა ეკონომიკურია. ისინი მუდამ თვლიდნენ და თვლიან, რომ ფული ყველაფერს იყიდის. ჩვენ მხოლოდ სიტყვით გავხდით არა-მარქსისტები. საქმეს ეს ჩვენი არა-მარქსისტობა თითქმის არ შეხებია.

რასაკვირველია, ეს ასე არ არის. ფულს ბევრი შეუძლია, მაგრამ არა ყველაფერი. სახელმწიფო ყოველნაირად აღრჩობს საქმის მკეთებელს და ცდილობს არავინ გამდიდრდეს მათ გარდა, ვინც ან უშუალოდ სახელმწიფოს მონაწილეა, ან ამგვართან მჭიდრო კავშირში იმყოფება. ამ წისქვილზე მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო მონოპოლიური გაერთიანებების წარმომადგენლებიც ასხამენ წყალს. მათი დათვური სამსახურით ჩვენ საგრძნობლად დავიხიეთ უკან.

ჩვენში დაწესებული წარმოებისა და მოქალაქის დაბეგვრა მაღალია. გასაგებია, რომ სახელმწიფოს თავისი უაზრო ხარჯებისათვის დიდი ფული ჭირდება, მაგრამ თუკი იგი ამ ფულს თავისი საქმიანობით არ გამოიმუშავებს და არც მოქალაქეს და არც მწარმოებელს აძლევს იმას, რაც უნდა მისცეს, რატომ ითხოვს ასეთი სახელმწიფო ფულს?

საქართველო მდიდრულად, შეიძლება ითქვას, ფუფუნებაში ცხოვრობს. იგი უფლებას აძლევს თავს, იყოლიოს სამინისტროები და სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც არავის სჭირდება და ქვეყნისათვის არაფრის მომტანია. როდესაც ქვეყანას უჭირს, მან დამატებითი მართვის და კონტროლის ორგანოები კი არ უნდა შექმნას, არამედ პირიქით, შეამციროს არა-პროდუქტიული შრომაზე თანხის ხარჯვა. ჩვენში პირიქით ხდება.

საქართველოში სამინისტროთა ნახევარზე მეტის გაუქმება შეიძლება ქვეყნისათვის უმტკივნეულოდ. სხვა საქმეა, რომ ამით ნათესავ-მეგობარი დარჩება ნაწყენი.

ჩვენი პარლამენტიც უზარმაზარია იმასთან შედარებით, რაც დაგვჭირდებოდა. შედარებისათვის: ფინეთის პარლამენტი 200 დელეგატისაგან შედგება (მოსახლეობა 5,2 მილიონი), დანიისა - 179-სგან (მოსახლეობა 5,3 მილიონი), სომხეთისა 190 და აზერბაიჯანის 125 კაცისაგან. რაში გვჭირდება 235 კაცი, გაუგებარია (ამჟამად, ჩვენი მოსახლეობა 4 მილიონსაც არ უნდა შეადგენდეს). საერთოდ, საკითხი ასე შეიძლება დაისვას: შეიძლება კი, დღევანდელ საქართველოში 235 ჭკვიანი პოლიტიკოსის მონახვა? თუ არ შეიძლება, სულელი რაში გვჭირდება, ხომ დააქცევს ქვეყანას? არ ჯობია, სულ ათი კაცი იყოს მთავრობა-პარლამენტში და ჭკვიანი, ვიდრე 235 და ისეთი, როგორიც გვყავს?

ერთდროულად სასაცილო და სატირელია სახელმწიფოს მიერ პერმანენტულად თვითმკვლელობის გამოცხადება: კორუფციის წინააღმდეგ „ბრძოლა.“ გამოდის, რომ სახელმწიფო საკუთარ თავს უნდა შეებრძოლოს და ფაქტიურად თვითონვე დაისვას გულში ლახვარი. რაღა თქმა უნდა, ეს ისეთივე აბსურდია, როგორც ქართული სახელმწიფოს ბევრი სხვა წამოწყება. თუნდაც ისეთი, როგორიც ვთქვათ, აიტიეს-ის ბანდოლორმირებისათვის საიმპორტო სადავეების გადაბარება. ისინიც ზუსტად ისევე იღებენ ქრთამს, როგორც ქართველი მებაჟეები. არ ჯობდა, ეს ქრთამები ქართველ მებაჟეებს შეხვედროდათ, ვიდრე საზღვარგარეთ მოკალათებულ რუს ებრაელებს? აქ, ეტყობა, ჩვენს სახელმწიფო მოხელეებსაც ხვდებათ ერთი-ორი დოლარი. უპირველესი „ვირტუოზი კორუპტიკოსები“ თვით სახელმწიფოს უმაღლეს ეშელონში სხედან და ვინ ვის უნდა შეებრძოლოს? ვერ დავიჯერებ, რომ შევარდნაძე თავის ნათესაობას გაავლებს მუსრს, თუმცადა მისგან ყველაფერია მოსალოდნელი. მე მგონი, კორუფციის გარშემო ატეხილი მთელი ეს „ბაზარ-ვაგზალი“ და დავიდარაბა, ხალხისათვის თვალში ნაცრის შეყრას და სახელმწიფოს შეცდომებისა და ცრუპენტელობის მიჩქმალვას ემსახურება.

ერთიც არის სათქმელი: კორუპცია არც ქართველების მოგონილია და არც საქართველოა ამ დარგში უპირველესი, ეს შევარდნაძემაც აღუნიშნა საზღვარგარეთს ბიბისის ინტერვიუში. მაგალითისათვის ვიტყვი, რომ მარტო გერმანიის ჰესენის მხარეში 600 კაცამდეა გასამართლებული ან გამოძიებაში ამგვარ დანაშაულზე. მექრთამე და მაიმუნი სხვაგანაც ბევრია. განსხვავება ის არის, რომ საზღვარგარეთ ეს ხალხი თან საქმესაც აკეთებს, ჩვენთან კი არა. ჩვენთან საქმეს არ აკეთებენ, ქრთამს კი იღებენ.

სახელმწიფომ უნდა გააკეთოს რაიმე, რაშიც მას ფულს გადაუხდიან. თუკი თანამედროვე სახელმწიფო არ ან ვერ ასრულებს იმ დავალებებს, რაც მას საზოგადოებამ გადააბარა, მაშინ მის არსებობას აზრი ეკარგება. როცა სახელმწიფო ადამიანებს არ უსრულებს გარკვეულ სამსახურს, მაშინ მათ იგი არ ჭირდებათ. ნებისმიერი სახელმწიფო, რომელიც ამ პრინციპს არ ეფუძნება აბსურდულია.

ჩვენი დღევანდელი სახელმწიფოს მიმართ დასკვნა ის არის, რომ სანამ სახელმწიფო ისეთი იქნება, როგორიც ახლაა, მისთვის კაპიკის გადახდაც არამია. სულ ტყუილად თხოულობს იგი ფულს, რადგანაც ყველა დარწმუნდა, რომ ასეთი სახელმწიფო შესაცვლელია.

ქრისტეშობიდან 2000 წლის დეკემბერი, თბილისი.